ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი
(კერძო სკოლის - „XXI საუკუნე" - გამოცდილების მაგალითზე)

მარიამ ქუთათელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, კერძო სკოლის - XXI საუკუნე - დირექტორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ერთ - ერთი კერძო სკოლის გამოცდილება. კერძოდ, სტატია ეხება სკოლაში სასწავლო პროცესის მართვის ძირითადი ერთეულის, ***აკადემიური საბჭოს*** *მუშაობის ზოგიერთ ასპექტს. განხილულია აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და ფუნქცია.*

გადავწყვიტეთ, ყურადღება შეგვეჩერებინა აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებულ ზოგიერთ ინიციატივაზე, რომელიც შემუშავდა 2008-09 სასწავლო წელს და დღესაც ხორციელდება. აღნიშნული ინიციატივების განხორციელება მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით.

შეფასების მიზნობრივი გამოყენება - ხშირი შემაჯამებელი სამუშაოები, სასკოლო წერები, გამოცდები, სავალდებულო პროექტები და ა.შ. აუმჯობესებს სწავლების შედეგებს, რაც აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე აისახება.

მშობელთა უკეთ ინფორმირების, მათი ჩართულობის ზრდის მიზნით აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გაუმჯობესდა მშობლებთან კომუნიკაცია, რამაც თავის მხრივ, მოსწავლეთა პასუხისმგელობის ზრდა განაპირობა.

მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებულმა სასწავლო აქტივობებმა შედეგად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, რამაც თავის მხრივ, სასკოლო გარემოს გაუმჯობესება განაპირობა.

ნაშრომში გამოყენებული შედეგები მიღებულია მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირებისა და ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის საფუძველზე.

დასვნა: ერთიანი მიდგომებით მუშაობა სკოლაში სასწავლო პროცესის უკეთ მართვას განაპირობებს, რისი კარგი მაგალითია აკადემიური საბჭო და მის მიერ შემუშავებული აქტივობები. ამ წლების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ აკადემიური საბჭოს მუშაობის შედეგად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, რაც სკოლის წარმატების უმთავრესი მაჩვენებელია.

საკვანძო სიტყვები: *აკადემიური საბჭო, სასწავლო აქტივობები, საგანმანათლებლო პროცესი*

ISSN 1512-1801

XXI საუკუნეში სკოლა არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. აღმზრდელობით დანიშნულებასთან ერთად, თანამედროვე სკოლა სწავლების მაღალ ხარისხზე უნდა იყოს ორიენტირებული. გლობალიზაციის ეპოქა და მზარდი კონკურენციის პირობები, ახალგაზრდა ადამიანს რთული ამოცანების წინაშე აყენებს. ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლაში მიღებული ცოდნის საფუძვლები და შეძენილი უნარები, მომავალში ახალგაზრდისთვის კონკურენტუნარიანობისა და თვითდამკვიდრების გარანტი გახდეს. ვფიქრობთ, აღნიშნული მიზნისკენ სწრაფვა დღევანდელი სკოლის წარმატების უმთავრესი მაჩვენებელია.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების, კერძოდ, სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად პირობას პედაგოგთა მაღალკვალიფიციური გუნდი და მისი შეთანხმებული მუშაობა წარმოადგენს.

სწორედ, ურთიერთშეთანხმებული და ერთიანი მიდგომებით მუშაობის მიზნით, ჩვენს სკოლაში (XXI საუკუნე) შეიქმნა და 2008 წლიდან ფუნქციონირებს ***აკადემიური საბჭო,*** რომელიც სასწავლო პროცესის მართვის ძირითად რგოლს წარმოადგენს.

აკადემიური საბჭო სკოლის მართვის ყველა ერთეულს აერთიანებს, სკოლის დირექტორის ჩათვლით. მის შემადგემლობაში შედიან:

- სასწავლო და ადმინისტრაციული დეპარტამენტების ხელმძღვანელები
- საგნობრივი კათედრების გამგეები
- სასწავლო საფეხურების კოორდინატორები
- ხარისხის მართვის კორდინატორები
- საგნობრივი კონსულტანტები
- ფსიქოლოგები

თითოეულ წევრს თანაბარი ხმის უფლება აქვს, ამიტომ საბჭოში შემავალ წევრთა რაოდენობა კენტია, რათა გადაწყვეტილებების კენჭისყრის შემთხვევაში დაცული იყოს ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპი. საბჭო იკრიბება კვირაში ერთხელ; აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოსთან, ასრულებს მის გადაწყვეტილებებს და ყოველი სემესტრის ბოლოს პედაგოგთა გაერთიანებულ საბჭოზე წარადგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

სკოლის აკადემიური საბჭოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სკოლის სტრატეგიის და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა სასწავლო-აღმზრდელობითი მისიის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში, საბჭო შეიმუშავებს სასწავლო-აღმზრდელობით გეგმას და დასახავს მიმდინარე სასწავლო წლის პრიორიტეტებს.

ჩვენი სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ ბოლო წლებში შემუშავებული ინიციატივების ნუსხა ძალიან დიდია. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომელთა შემუშავება და სასწავლო პროცესში დანერგვა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2008-2009 სასწავლო წლიდან დღემდე, სისტემატურად ხორციელდება:

- სავალდებულო ***სასკოლო გამოცდები*** - ტარდება სასწავლო წლის ბოლოს V-XI კლასების მოსწავლეთათვის;

ISSN 1512-1801

- სავალდებულო სემესტრული ***სასკოლო წერები*** - ტარდება სემესტრულად შუალედური შეფასების მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, III-XII კლასების მოსწავლეთათვის;
- ***შუალედური ზეპირი გამოცდები*** საბუნებისმეტყველო საგნებში - ტარდება მიმდინარე შემაჯამებელი შეფასების მნიშვნელობის გაზრდის მიზნით VII-XI კლასების მოსწავლეთათვის. აღსანიშნავია, რომ ზეპირი გამოკითხვის ფორმატი, ცოდნის შემოწმებასთან ერთად, სამეტყველო უნარების განვითარებას ისახავს მიზნად.
- ***პროექტის,*** როგორც სავალდებულო სასწავლო მეთოდის გამოყენება VII-IX კლასების მოსწავლეთათვის;
- ***ინტეგრირებული პროექტებით*** სწავლება V-XII კლასებში - ქართული - მეორე/მესამე უცხოური ენა; ისტორია - ხელოვნება; ფიზიკა - ქიმია; მეორე/მესამე უცხოური ენა - საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა.შ.

აკადემიური მიმართულების ინიციატივებთან ერთად, აკადემიური საბჭოს მიერ არაერთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ადმინისტრაციული კუთხით, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს სკოლაში წესრიგის გაუმჯობესებას, ერთიანი წესების დამკვიდრებას, მოსწავლეების ჩართულობის და პასუხისმგებლობის გაზრდას, მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას და სხვ.

ამ მიზნით ჩვენს სკოლაში დაიგეგმა და შემუშავდა:

- სკოლაში ***ქცევის ერთიანი წესები,*** როგორც მოსწავლეების ასევე, პედაგოგებისთვის, რომლებიც მოსწავლეთა თვითმართველობასთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა;
- ***სკოლის კალენდარი,*** რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება და სადაც აღნიშნულია წლის მანძილზე დაგეგმილი აქტივობები და ღონისძიებები, შესაბამისი თარიღების მითითებით: სასწავლო დღეები; არდადეგები; გამოცდები; სასკოლო წერები; მშობელთა დღე, სკოლის ექსკურსიის დღე და ა.შ.
- ***მშობელთა დღე*** - მშობლების პედაგოგებთან, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სკოლის ფსიქოლოგებთან ინდივიდუალური შეხვედრების დღე, რომელიც სემესტრში ერთხელ იგეგმება. ამ დღეს, მშობელს საშუალება ეძლევა, მისთვის მოსახერხებელ დროს (მიღების საათები: 9.00სთ-დან 17.სთ-მდე), მიიღოს მისთვის საინტერესო და სასურველი ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; გაეცნოს მისი შვილის სასწავლო და ადმინისტრაციულ პორტფოლიოს; გამოთქვას საკუთარი შეხედულებები სკოლის მუშაობასთან დაკავშირებით; დააფიქსიროს მოსაზრებები ***მშობლის ანონიმური კითხვარის*** მეშვეობით, რომელიც აკადემიური საბჭოს რეკომენდაციით, ამ დღისთვის იქმნება და რომლის შემდგომი დამუშავებით მიღებული ინფორმაცია, სკოლის საქმიანობის რევიზიის კარგ შესაძლებლობას იძლევა.
- ***მშობლების პედაგოგებთან ინდივიდუალური შეხვედრების განრიგი,*** *რომელიც* სასწავლო ცხრილის მიხედვით დგინდება სასწავლო წლის დასაწყისში და ელექტრონული ფოსტით იგზავნება მშობლებთან.

ISSN 1512-1801

- ***სემესტრული გეგმები*** - შემუშავდება საგნობრივი კათედრების სემესტრულ სამუშაო გეგმებზე დაყრდნობით და ასახავს მიმდინარე სემესტრში დაგეგმილ სასკოლო აქტივობებს, როგორებიცაა: გასვლითი გაკვეთილები, შემეცნებითი ვიზიტები, ინტეგრირებული და თეატრალიზებული პროექტები, კონკურსები, ასევე შემაჯამებელი სამუშაოების განრიგი, სასკოლო წერები და სხვ. სემესტრული გეგმები ყოველი სემესტრის დასაწყისში ელექტრონული ფოსტით იგზავნება მშობლებთან.
- ***სკოლის ვებგვერდი,*** როგორც ინფორმაციის უახლესი და ხელმისაწვდომი გზით გავრცელების საუკეთესო საშუალება, შემუშავდა სკოლის ინფორმაციულ ტექნოლოგიების მენეჯერსა და ამავე საგნის პედაგოგებთან ერთად.

ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, სტრუქტურის, ისტორიის, პედაგოგთა გუნდის, აკადემიური პროგრამების, ქცევის კოდექსის, მოსწავლეთა თვითმართველობის საქმიანობის, სკოლის კურსდამთავრებულების და ბევრი სხვა, სკოლის ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომელიც განთავსებული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია და რაც მნიშვნელოვანია, ვებგვერდის მეშვეობით რეგულარულად დაანონსდება სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები.

ზემოთ ჩამოთვლილი აკადემიური თუ ადმინისტრაციული მიმართულების ღონისძიებები, მხოლოდ ერთი ნაწილია იმ ინიციატივების, რომლებიც ჩვენი სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავდა და 7 წლის განმავლობაში ხორციელდება სკოლაში. ამ პერიოდის მანძილზე ჩატარებულმა სხვადასხვა ტიპის კვლევებმა - მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირებამ, ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობამ ცხადყო, რომ უკლებლივ ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა აქტივობამ სასწავლო პროცესის, კერძოდ, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება განაპირობა.

შეფასების მიზნობრივი გამოყენების შედეგად - ხშირი შემაჯამებელი სამუშაოები, სასკოლო წერები, გამოცდები, სავალდებულო პროექტები და ა.შ. გაუმჯობესდა სწავლება-სწავლის შედეგები, რაც აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე აისახა;

მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას; სასწავლო აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა დაგეგმილი, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას;

მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის მათ პასუხისმგებლობას, რაც აუმჯობესებს სასკოლო გარემოს.

სწავლება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც თიოეული მოზარდის ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენას და რეალიზებას უნდა ემსახურებოდეს.

მრავალფეროვანი, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი აქტივობებით გამდიდრებული სასწავლო პროგრამა, სწავლების ინოვაციური მეთოდები, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, უსაფრთხო და კომფორტული გარემო, სადაც ურთიერთპატივისცემა, კეთილგანწყობა და მხარდაჭერა ყოვედღიურობის ნორმაა, თანამედროვე სკოლის განუყოფელ კომპონენტებს უნდა წარმოადგენდნენ. ამ მიზნის მიღწევა, ერთიანი მიდგომებით მუშაობის გარეშე კი, ძალიან რთულია. სწორედ, ასეთი მიდგომის მაგალითია სკოლის მართვის ისეთი ერთეულის შექმნა, როგორიცაა

ISSN 1512-1801

აკადემიური საბჭო, რომლის გააზრებული და ქმედითი მუშაობა, დიდწილად განსაზღვრავს სკოლის, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. საქართველოს შრომის კოდექსი;
3. საქართველოს განათლებისადა მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის N841 ბრძანება - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N 1014 ბრძანება - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ;
5. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N 84 დადგენილება - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ;